

სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 40

შეკვეთილი 17, 1895 წ.

№ 40

შინაარსი: პოეტის თ. რაფ ერისთავის საუბილგო დღესასწაულის გამო. — საყურადღებო ამბები, — თერმომეტრი წნეგნისთვის დაწესდა აკაკისა. — ბაში ახუცი (ისტორიული ზოთხრობა) აკაკისა. — ერწანისის პრძოლა, დეკსი სლოვანისა. — მღვიმის მონასტრის საწლოცველი გ. წერეთლისა. — კანხს სვეტი გ. წერეთლისა. — მერეთის თაჯდ. აზნაურობის კრება გაბრიელ მერეთის გამსჯობის შესახებ. — ბნი იოანა მუნარგა და მისი დიპლომატიკა აკაკისა. — ფრიდრანტენგელის ნ. უსი.

უმორჩილესათ ვახთავთ პაკივეკ-მულთ პირთ გამვე და ამსრულეებელი კომიტეტებისა კეთილ ინებონ და ამ თვის 19, სამშაბათს საღამოს, სა თის 7-ზე, თფი-ლისის სათავად-აზნაურთ პანკის დარბაზ-ში მობძანდენ თ რაფიელ ერისთავის საი-უბილეო პროგრამის შესახებ მოსალაპა-რაკებლათ.

აკაკი

პ თ ე ტ ი ს

თ. რაფ. ერისთავის საუბილგო დღესასწაულის გამო



მ წლის ივლისის დამდევს მოხდა საიუბილეო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნენ გამვე კომიტეტი და ამსრულეებელი კომიტეტი შე-მდგვი პირებისაგან: გამვე კომიტეტის წევრებათ: ქართლ კახეთის თაჯდ-აზნაურთა წინამძღოელი თ.

კ. ი. მუხრანბატონი, თ. მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა, თ. აკაკი წერეთელი, თაფ. ილია ჭავ-ჭავაძე და თ. პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი; ამ-სრულეებელ კომიტეტის წევრებათ: გ. ე. წერეთელი, ნ. ზ. ცხეველი, პ. ყიფიანი, ეალ. გუნია, კოსტ. მესხი და გიორგი ყარანგოზიშვილი.

რადგან საიუბილეო დღესასწაულობა ჩვენს სა-ყვარლის მოხუცი პოეტისა მოუწევნილია, ოკტომ-ბრის 22 არის დანიშნული, დრო არის არჩეულთა პირთა გამვე კომიტეტისამ მოუწოდოს კრებას და ამ-სრულეიელ კომიტეტს დაეალოს შემუშავებულ საიუბილეო დღესასწაულის პროგრამა ასრულემაში მოიყვანოს.

საყურადღებო ამბები



მ თ ი. რა დროს მოვესწარით! ჩვენვე ეუთ-ხრით ერთმანეთს ორგოს და სხვებს კი ვაბრალებთ. აი, მავალითათ, ვინაღაც ხა-ბურზანია — მოძღვარს მიუწერა უმაღლეს სასუ-


ლიერო დაწესებულებაში, რომ არამც-და-არამც არასფერი „სირკულიარი“, ან ბძანება, ან განცხადება ქართულს ენაზე დაწერილი აღარ გა-მოგზავენოთ, რადგანაც როგორც მე, ისე ჩემი მრევლიც, უსცხო ენაზე დაწერილს უფრო წიკითხავს და გაიცებს, ვიდრე ქართულზეო. აი, ნაყოფი ჩვენი გადარჯულებისა. მერწმუნეთ, ვისაც თავის თავი არ უყვარს, ის ვერც სხვას შეიყვარებს..

* *

იქიდანვე. როდესაც ბ. ნ. ნიკოლაძე ამოი-რჩინა ქალაქის თავათ, პირველ სხდომაზედვე მთელმა ხმოსნებმა აღძრა ლაპარაკი და სიტყვიერი თხოვნით მიმართა ბ. ნ. ნიკოლაძეს, რომ იმას ეშუამდგომლა,

ვისთანაც ჯერ იყო, რომ ქართული ენის სწავლება შემოიღონ სამოქალაქო სასწავლებელში. ამაზე ბ. ნ. ნიკოლაძემ აღუთქვა იმედი; თითქმის ამავე სასწავლებლის ინსპექტორმაც, ბ. პლოზოტნიკოვმა, თანხმობა განაცხადა და ხალხს აღუთქვა, თქვენ თხოვნა შემოიტანეთ და მე იმასაც დავსძენ, რომ ქართველი კაცისთვის ქართული ენა საჭირო არისო. ამ დაპირებამ წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენა და ნუ თუ აღარ უპირობენ გაოდიძებას ისინი მაინც, ვინც პირველათ ამაზე აღძრა ლაპარაკი; ნუ თუ არ იციან იმათმა ის, რომ მიფშუტულ ცეცხლს მარტო სულის ჰბერვა არ ყოფნის და თუ ფიჩხებიც არ შეურთეთ, არც ალს გაუშვებს და არც სითბოს.

ვარდენ გიორგის ძე ყოფიანი



თერთმეტი ენკენისთვე

(გუბღენი იაკობ გოგებაშვილს)



რწანისის ეელი*, „კრწანისის ეელი!“
რა საგულისხმო გასაგონია?
გმირთა კალოა, სისხლით მორწყული
და ერიც მითი თფ-მომწონია!..

* *

სადაც ქართველი კი წამებულა,
ეს სუყველაზე უდიდესია:
მამების კუბო სამარადისით
შვილების აკნათ აქ ნათესია!

* *

ეს არი დიდი უღელ-ტენილი
ჩვენი წარსულის და მომავლის!..
მკვლრებით სიცოცხლის მომნიჭებელი,
ძველზე გამყენი ახალი კვალის!

* *

აქ რომ კვებოდენ ჩვენი მამები,
გატაცებული და გამსქეალული,
სულ სხვა განძრახებით და სხვა იმედით
სიკვდილის წინეთ უხვტრდათ გული:

* *

ფიქრობდენ, „ჩვენ ვართ უკანასკნელი
სამშობლოს მსხვერპლი! გათავდეს ჭირი!..
და ქრისტეს მცნებას აწ „ქვა-კუთხედათ“
უნდა დედგას „ორთა-კავშირი“.

* *

„კავშირი ჯვრით გამყარებული,
კავშირი ძმური და მეგობრული!..
და ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,
იყოს წყველი ღვთისგან და კრული!

* *

„ან ვინ იფიქრებს იმის გაწყვეტას,
თუ არ უფნური და უმცარი?
ძმობა, ერთობა და სიყვარული
ქვეყნისთვის არის ციური ცვარი!..

* *

„ერთობა რჯულის, ერთობა გულის
უფარისველო და პირდაპირი --
აი, რა არის სხვა-და-სხვა ტომის
შემზორცებელი წმინდა კავშირი.“

* *

ასე ფიქრობდენ, რომ გვიანდრძეს
მათი განძრახვა სახელომძღვანელოთ
და მათი ღირსი აღარ ვიქნებით,
ეს გრძნობა გულში რომ გავიწელოთ!

* *

მოყვრათ ვერ ეცნობთ, ვინც ცივათ გვეტყვის:
„შეცვალეთ თქვენი ხორცი და ფერი!..
დაკარგეთ ენა, ზენ, ჩეულება!..
უარპყეთ თქვენი ყოველიფერი!

* *

„წარხოცეთ თქვენი მესხიერება,
ზოგჯერ აღმძვრელი სინანულისო
და მაშინ მხოლოთ გახდებით ღირსი
თქვენ ჩვენი ძმობა-სიყვარულისო“.

* *



არა! არ გვეკრა!.. აქ შეცდომაა!...
 ასე არ ესმის ქართველს კაცობა!
 ჯერ უნდა თვითონ სულით აჩაღლდეს,
 რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა!..

* *

და ადამიანს რა აამაღლებს,
 თუ არ მისივე წმინდა სამშობლო,
 ენა, ფერადი ზნე-ჩვეულება,
 ვით „წმინდათ-წმინდა“ სამამაოულო?..

* *

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
 ის მის მაგიერს ვის შეიყვარებს?
 ვისაც ჰქვოლს თავის სახლი და კარი,
 ვინდა გაუღებს სამოყვროთ კარებს?

* *

განა სხვის სახლში შევა ერთგულათ
 თავისი მტერი და გარეწარი?

თუ არ ქვეშ-ქვეშათ ფარისევლობით,
 ვით მოლაღატე მონა... მზაკვარი?!

* *

არა! და არა!.. ქართველმა იცის
 ეს და მიტომატ მრუდეთ არ დავსა ფებს
 და გადმონაცემს ძველებისაგან
 საშვილიშვილო „ანდერძს“ არა ჰტებს!..

* *

და ის „ანდერძიც“ აქ დაიწერა:
 „ქრწანისის-ველზე“ ქართველთა სისხლით!
 გამტკიცდა დღვის დღის მოგონებით
 და დავეირავინდა დღესვე ასი წლით!..

* *

კურთხეულ იყოს ამიერიდან
 და საუკუნოთ სახსენებელი,
 ვინც რჯულს და მამულს შეწირა თავი,
 და სისხლით მორწყა „ქრწანისის-ველი“!..

აგა

ბაში-აჩუკი

(ასტორიული მოთხრობა)

გუგავნი მოსკოვის სტუდენტებს.

შემდეგ *)



ეორე დღეს, დილით აღრე გამოსულიყო
 ზალო აივანზე და ქაღებს გადაჰყურებდა. შუა
 ხნის, ქალაჩა-შერთული, მოურავი იქვე, კე-
 დელზე ატუზული, თვალბეში შეჰყურებდა.

ესეც ჩვენი კირილის სიზმარი!.. ახდა და მორჩა!!
 მართლა გველემშაბიეთ არ მოიკლაკნება ეს არაგვი?!
 ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა წყალ-დიდობას ჯერ
 არ მოვსწრებოვარ—თქვა ერისთავმა.

— არც მე, თქვენი რისხვა არა მქონდეს!.. ტყე
 და ველი კი მოაქვს და... ხიდები სადაც იყო, და-
 ხეტა. ქეთიკირის ხიდი დაუტკეცია. გზა შეკრულია
 და ჩვენი მწყემსებიც გაღმა დარჩენილან—მოახსენა
 მოურავმა.

— რა უშავსთ... იქაც ჩვენი არ არის?!... სწო-
 რამდე ესეც დაიკლებს. მთის წყალია... მალე ჩა-
 მოვარდება.

— უფრო აღრეც, მაგრამ მაინც ბიჭები გამო-
 ცდებიან ამ ორ-სამ დღეს და ძნელია.

— განა იქ კი ვერ გაიჩენენ საქარს?

— კი მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, თუ სულ
 არ ეჩიჩინები, თავის-თავით არას მოიფიქრებენ.—
 დღეს რომ აქა მყავდენ, მიეცემდი ზელში საგლე-
 ბელს—კაეებით, დაკაენებდი წყლის ჰირათ მოსა-
 ხვევშა და ვაქერიბელი ჯირკებს... შეშას დავამზა-
 დებდი ზედ კარზე მოყენებულს.

— მართლა სად იყო ამდენი ხე-ტყე, რაც ამ
 წყლის მოაქვს? ადღის... ადღის და ჩამოატარებს.

— მთაშა დამზადებულ ხორხებს დაშლიდა ნიავ-
 ლვარი და ჩამოყრიდა წყალში.

— აგრე ექნება!.. სხვა ბიჭები აღარ აიიან, რომ
 მიაყენო?

— გახლავან!.. როგორ არ გახლავან? მაგრამ
 ყველას თავთვის საქმე აქვს, მოგეხსენებათ და მწყე-
 მსებრს მოკლენა მიტომ მაწყუბებს.

— თუ ვიყვარე, რამდენიც შეიძლოთ იმდენი
 დაამზადეთ!.. კირი გვაქვს დასაწვავი, რომ საყდარი
 შევაკეთოთ როგორმე. მოძღვარი აღარ მასვენებს
 და ქალბატონსაც დაუჭინია, უნდა შევეღოსთო!..
 კარგია! სულის საქმეა!.. წყლის მოტარები შეშა
 წმინდა იქნება და წმინდა საქმესაც უნდა მოხმარ-
 დეს.

— აგრე ექნათ შენი ჰირიმი!..

იმ საუბრის დროს შორს, ხედაბუნებში გამო-
 ჩნდა ერთი ვიღაც ტენოსანი. პირდაპირ სასახლი-
 საკენ მოაველევდა ცხენს. ზალომა შენიშნა და

თქვა: მოუტარეო! ის ცხენოსანი, ვიღაცა არის, თუ ფათარაკს არას ვადაკიდებია, სწორეთ გიცი უნდა იყოს!.. თავ-შიშველა, უქუდიოთ რომ კაცი მოგზაურობდა, გავონილა? მოუტარეი მიაჩერდა და ღმილით მოახსენა: იმერელი უნდა ვახლდეთ ვინმე! — გაჩრილ თმაზე ფაფანკი ედებო და არ ეტყობა...

— იმერელი? იმერეო ასეთ რა უნდა?

— რა მოვასხნოთ, მაგარამ, სწორეთ იმე რელი კი უნდა ვახლდეთ — ცხენსაც ისე მოათამაშებს... — ცხენოსანი ამასობაში პირდაპირ მოადაგა არავეს. ხიდი რომ წაღებულ იდაუხედა, ფონს დაუწყო ძებნა: აატარ-ჩამოატარა წყლის პირად ცხენი და ბოლოს უკანვე გააბრუნა. „ეე პუ! შენ საქმეს. ნურას უკაცრავათ იმერელო, ხიდი ვერ გადახედე-რეთი!“ — თქვა დაკინეთ ზაღმა და მიუბრუნდა მოუტარეს — იმერეთის ღელეები ეგონა, ბუქულა წისკვილების საბრუნებელი... მგონია, ისე კი დაურობა, რომ ერთ წლაში ღომიც ველარ იცნოს!..

— შენი რისხვა ნუ მომეცემა, თუ არ გამოალოციენა, გული საუღლეს აღარ შეჩრის! — დამოწყმა დიგოტო მოუტარეი.

ცხენოსანმა მისი ბედღური გაჰქენ-გამოაქენა ქალებში — გაახურა და წამოიყენა პირდაპირ მდინარისაკენ; რომ მიადგა კიდეს, ჰკრა ღეზი და გადაუშვა ახლადეფულ წყალში. ცხენმა და კაცმა ორივემ ძირა გაიარეს, თითქო ჩაინთქენო. ცოტა ხანს შემდეგ ამოყო ცხენმა თავი და იწყო ცურვა გვერდელათ; მხედარი ზურგზე ეკრა და თავს უჭერდა, რომ პირდაპირ მერე კიდზე გაეყენა კლდის ზემოთ; მიუახლოვდა კიდეს, მაგრამ წყალმა დიდი ხე ჩამოატარა და მოხედა ცხენს; ცხენი მოტრიალდა, მისცა თავი ქვემოთკენ წყალ-წყალ, რადგანაც ვასდგელ კიდეს ჩამოკცა. მხედარმაკ მიუშვა ლაგამი და თვალის დახამხამაში ტრიალ მოჩრეში ამოყვეს თავი — „არჩე, ვინ ხართ მამაკი? მიეშველეთი მცურავებს დაუძახეთ! უშველეთი!..“ ჰყვიროდა ერისთავი. მოჩრეში ცხენი შეჩერდა, თითქო თავს ანებებს ბრძოლას და ბედს ემოჩრილებოა, მაგრამ, მხოლოთ თურმე ისენებდა. მოაკრიფა უკანასკნელი ღონე და მხედრის კციენით ვაშნევებული გადაეშვა საჩქერეზე. იქ კი რამდენიმეჯერ გადაატრიალა ადუღებულმა წყალმა. მხედარი ზეით აღარ იჯდა, ფაფარში ხელ-ჩაკიდებული განზე მიყვებოდა ცურვით. დიდზე ადენვა თვლი ერისთავმა და ბოლოს როცა მიეფარენ და აღარა ჩნდენ, მიუხარებოთ თქვა: ვაი, უბედურლი!.. აქ კიდევ შეიძლება და შევლა, ამ მოჩრეში. მაგრამ იქ იმ უცნაურ ჩენქერში ვინლა რას ვაწყობს!.. თქვა და საჩქართ დააბირა წასვლა.

ყვირილზე მარიაში შემოვარდა დაფეთებული.

ქმარმა უამბო ყოველიფერი და როდესაც მიაწია ბოლომდე, უთხრა: იქ კი დაიღუპენ, მგონია, საჩქერეში! მარიაში მოუხზრა კვირს, ოჯგელსამჯელ დაიქრა მუხლებზე ხელი და ერთხელ ყბაზედაც ჩამოსცა, თითქო ჩამოიბრუნა. ბერი იწუწუნა: ვაი, დედი მისის თვალღმის დადგომასო და რომ მოიოხა გული, დავითნი გადაშალა!.. მიმართა ჩეველებივით ქირის კანონს. — შემოიტუხა მოუტარეი და ჩაახველა. რა ქენი მოუტარეო, ვერავინ მიაშველეთ?

— მივაშველეთ, სენე ქირიმე, მაგრამ მცურავები შემეშინდენ, ველარ შეგებდეს წყალში!.. ნამეტანი ვადარეულია.

— ჩაატარა?

— შორს არ წაუღია! იქვე მოსახვეში, ხეებს რომ ხერკავს ხოლმე, ზედ მიაყარა...

— ეგება გამოატანიო როგორმე, მადლია! თქვა ქალბატონმა.

— რალა გამოსადევი ვახლავთ, შენი ქირიმე — კაი რამე კი ვახლდათ!.. ას ოკროთ მამა შეილს არ დაუთმობდა!..

— ხომ არ გადარეულხარ, მოუტარეო? ბძანა ვეხატონმა — მირონცხებულზე მაკრე ლაპარაკი?

— ვინ მირონცხებულა, შენი ქირიმე? მე ცხენზე მოვასხნებოთ, თვარა ის კაცი როდი დამხრჩევალა.

— როგორ თუ არ დამხრჩევალა? მიაყვირეს ორივემ.

თქვენი რისხვა არა მქონდეს!.. აქ რომ ჩაყო თავი წყალში, ექ ამოყო ჰა, იხეეთი!.. ცხენს და ღლებავს ჩივის როგორ ვერ გადავარჩინეო, თვარა თეთოთ, გინდ წყალც არ გადასხმოდეს თავენ... გაწუნწულა კი ძალიან და ს.ხ.ბ.ბ.ში შეეგზავნეთ თორენზე ვასაშრობათ!..

— მადლობა ღმერთს! სწორეთ კაი მახარებელი ხარ!.. მამა ქეშარბათი! ვინ არის და რა საქმე აქვს, ვერ ვაგე?

— ჯერ არა უთქვამს რა, შენი ქირიმე! თქვენ ნახეს კი ეჩქარება და, როგორც კი ვაშრება, გაახლებოთ, თუ უბანებთ!

ძალიან კარგი იქნება... შემომავარე! მოუტარეი ვავიდა და ერისთავი კი ვახარებული ეუბნებოდა თავის მეუღლეს: არ ყოფილა უბრალო ვინმე! უკეთესი სიმარჯვე ღმერთმა შეარცხენოს!.. ხომ ვაი-ვონე, მცურავებმა ვერ შეგებდეს სეცურვაო და მან კი ეს ახლადეფული არავე სივძინათ გამოიგოლო ლაჯებში!.. სწორე მოვასხნეო, მეც გამოჭირდებოდა ჩემ სიყმაწვილემი მაგის ვაბედა. — მარიაში ჩაიკინა და ჩაახველა.

რას იცინი? გვახსენდა განა, შენ რომ თავს გავწონებდი და ალაზანი ჩავადგე ცხენი. ეჰ, ყოველივეს თავისი დრო აქვს—დაამატე ხენეშით.

მოურავი შემოუღღა ახალგაზდა კაცს ტან-მაღალი, წელში წერილი, მზარ-ბეჭიანი, ფავანაკი უკან გადადებული, ვაჭრობის თმით და გავწვერტილის უღლაშებით, ტიტველა პირზე სწორეთ სასიამოვნო შესახედავი იყო. მოხდენილათ გადაჯივრადინა ფეხები და თავიანი სცა ერისთავს.—გამარჯობა შენი! უბძანა ერისთავმა.

— ლმერთმა გამარჯობა ნუ მოგივალოსთ, ჩემო ხელმწიფე! მოახსენა მოსულმა და მეორეთ სცა თავიანი.

— მაღლობა ლმერთს, რომ გადარჩენილხარ!.. რა გაჭირვება გადაგა მისთანა, რომ განსაცდელში იგდებდი თავს?..

— ჩემი განსაცდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილი?!. მასთანაც არ მეგონა, თუ ეს დღე დამადგებოდა... ცხენის იმედი მქონდა. ბევრჯერ შემოცურებია ჩემი აფხაზურა აღელვებულ ზღვაში და ისე არა გაჭირვებია რა და დღეს კი ამ უბრალო წყალმა დავემარცხა. აღბათ, წერა იყო, თქვა და ისეთი ამოიხენეშა, თითქოს გულ-ღვიძლი ამოატანია! თველებზე ცრემლები მოადგა.

— შენ, როგორც ვატყობ, ძალიან გებრალებდა ი შენი „აფხაზურა“!

— ძმასავით მყავდა, ჩემო ხელმწიფე, თანშეზდილი და შეჩვეული.

— თუ ზღვაში მისთანა არა იყო რა... ხმელეთზე ჩემ „არაბულას“ ევრაიენ მიწვდებდა. სამაგიეროთ მიჩუქებდა შენთვის! ჭბუტემა რამდენიმე ბიჯი წინ წადგა, ცალი მუხლი მოიყარა და ჩოხის კალთაზე აკოცა. მოურავი შეიშმულა და შუბრით შეხედა დაჯილდოვებულს... მოურავო, ბძანა ზაალმა ხომ გესმის!.. რას ყოყმობ? ზედაც შენი მოკვდილი უნაგირი დაადგი—შენ ჯერ მაინც არად გინდა და მეგრ სხვას ვაჩუქებ.

— არ ემჯობინებ, შენი ჭირიმე, რომ წითელი ლაფში უბოძოთ?

— ეინა გკითხავს? შენ ასარული, რასაც გიბძანებენ!

— კი, შენი ჭირიმე, მაგრამ რომ არ იკარებს უნაგირს ის შეჩვეენებული.

— როგორ თუ არ იკარებს?

— არ იდგამს!.. წელიწადია, ზედ აღარაიენ შემგდარა!.. ოროლ მეგინიბებს ძლივს გამოყავს!.. გაურკვევულია!..

— შენ ჯაჭვი ნუ გაქვს? ამათ იცის და იმ ცენმა.

— თუ კი ეგრ შევადგა, რათ უნდა!..

— წმ! აჰ, ლმერთო, კიდევ თავისას ამბობს—სულელი არ მოკვირდებოდა, თორემ გიყის მოთვინიერება ყოველთვის შეიძლება—შენ რას იტყვი, ყმაწვილო?

— მოვიხმარ ლეთისა და თქვენის მოწყალებით! რაშებს ხენდიან და ცხენა მისთანა რა იქნება, რომ ეგრ დამიპოჩილოს კაცმა, მოახსენა ლიმილით.

— მეც ანგრე მეონია. ლმერთმა მოგახმაროს;—ახლა კი მიამბე, რისთვის გარჯილხარ და საიდან ხარ?

— კახეთიდან ვახლავარ!

— კახეთიდან? მერე და გზა შეტრული არ არის?

— ვახლავსთ, მაგრამ მე კი ფეიქარ-ხანის ფირმანი მიტარავს ხელში.

— იმერელი უნდა იყო?

— ვახლავარ, მაგრამ დიდი ხანია, რაც მოეშორი იქურობას და კახეთში ვარ! თქვენმა სიძემ გაახლოთ ჩემი თავი, ბიძინა ჩოლოყაშვილია.

— რა ამბავია?

— წიგნი მოვართვით და იქიდან გაიგებთ ყველაფერს, ჩემო ხელმწიფე! ამოიღო უბიდან წერილი, და მიართვა... ესეც ქალბატონმა მოართვა დიდ-ქალბატონს...

— საკვირეელია, რომ არ დაგსევლებია?..

— გასამთლულ ტილოში ვახლდით ვახეული!—ფაცა-ფუცით ვახსნა წიგნი ერისთავსა და დაუწყო კითხვა ჩუმით. მისმა მუელღემ კი სათვალეებს დაუწყო ძებნა. მოურავი და იმერელი კი იდგენ და შეჩერებოდენ—კითხვის დროს ერისთავს აღელვება ეტყობოდა და რამდენჯერმე შეხედა იმერელს...

— ხომ არ გადარეულია?.. რა მოსაფიქრებელია!.. ჰკითხა ზაალმა. იმერელმა მოურავს შეხედა და ხმა არ ამოუღია... ერისთავი მიხედა და დაითხოვა მოურავი. მარიაშიც სათვალეების მოსამძებნათ წავიდა. დარჩენ მარტო ორი.

იწვრება: ქრისტიანობა ამოვარდაო. წირვა-ლოცვა აღარ არის, ზარების რეკა აღარ ისმის; ხატი შეურაცხვეს და ტაძრები გაუაბატურესო!.. ეს ჩვენც გავიწილი გექონდა, მაგრამ რა ექნათ, რომ თავს ზვეით ლინე აღარ არის!.. ლეთის რისხვა მომდგარა და უნდა ავტანათ, ლეთის ნებასეე უნდა მივენდოთ!

— მე რა მრჯის თქვენი სიტყვის შებრუნებას, შენი ჭირიმე, მაგრამ ხომ მოგესხენებათ: ურია ილჩრობოდა და ლმერთი ახსენა მიშველეო. ლმერთმაც უბძანა, ზელი გაანძრიე და გიშველიო.

ეგ ანდაზა კარგია, მაგრამ უფრო სხვა ღრისს... მარტო ხელის განძრევა ევლარას გვიშველის! — მაინც რისი იმედი აქვს?

— ჯერ ლეთისა და მერე თქვენი!.. ხუთასი მეომარი თეთიონ გამოაყეს სულ დარჩეულები, ხუთას-ხუთასს ერისთავებიც კპირდებიან. ეს ათას ხუთასი, ერთი ხუთასი იმედი თქვენგანაცა აქვს!..

— მერე და ორი-ათასი კაცით სამოცი-ათასზე გლაშქრება, რა მოსაფიქრებელია? სხვა რომ არა იყოს რა, ისიც კმარა, რომ ალაზნის პირზე გალმა-გამოღმა თხუთმეტი-ათასი უღუსი სახლობს.. დიდი და პატარა ყველა მეომარია.

— ორი-ათასი ქართველი ხუმრობა არ ვახლავთ, ვენი ჭირიმე, თუ აქედან შემწვობაც იქნება. ნათქვამი გიბრძანებს: ცდა ზედის მოწაწვერეო.

— ეგ ანდაზა ჩემისთანა ხნიერებზე აღარა ჭრის!.. ჩემი სიძე ჯერ კიდევ ყმაწვილია, გული საგულეს აქვს! — მე მიკეირს ქსნის ერისთვისაფან. როგორ დაეთანხმბა?.. არ იცის, რომ მაგითი იქ ყენის ააშფოთებს, აქ ქართლის მეფეს გაარისხებს.

— გამარჯვებას რომ გაიგებს, ქართლის მეფეც აღარას იტყვის. მართალია ვათათბურელია, მაგრამ გული მაინც ჩვენსკენ უფრო აქვს და რომ ვაპარჯება ჩვენ დაგერჩება ღეით, ამაზე ეჭვი არ უნდა ექონიოთ.

— აბა, ჩემო იმერელო! ყმაწვილი ხარ და წინდახედულობა გაკლია. მთელმა კახეთმა ეერა უყვარა, ახლა ორი ათასი კაცით უპირებთ გაღწას!.. — აბა, რა სათქმელია, ციხეები ხელში უჭირავთ და ქალაქი!.. ეერცა რას კახეთს ეუშველით და ქართლსაც საფრთხეში ჩაეაგდებთ... გაქმინებული ყენი მიზეზს ეძებს, რომ ქართლსაც ის ღღე დაეყენოს, რაც კახეთს! — ღღეს თუ კიდევ სული გვიდგას, ბატონი მეფის წინდახედულობის ბრალია. ღმერთმა დიდი ღღე მისცეს ვახტანგ მეფეს.

— შახნავახს?! ნაღლიანი ღმილით უპასუხა იმერელმა. და უნდოდა რალაც მოეხსენებია, მაგრამ ამ ღრას გიყვით შემოვარდა კირილე მღვდელი და მოახსენა.

— ქსნის ერისთავები გიახლენ, შენი ჭირიმე!

— ქსნის ერისთავები?... მოხანდენ.

— ისინი ვახლავან შენი ჭირიმე! სწორეთ ისინი — იმეორება გულამოვარდნილი — სწორეთ ისინი ენახე!.. დიდმა შენს საკურეფლებას უფულო!..

— მღვდლო, შენ როგორღაც ეერა ხარ შენს გონებაზე?

— თქვენი რისხება ნუ მომეცემა, ისინი არიან! სწორეთ ისინი, ეიცანი!

— დიდი საქმე მომხდარა: რაეწნათ მერე, რომ

იცანი?... აბა ღმერთო? რას ვაჩერებულხარ? წადი, თხივე მოხანდენ. შეუძები სასტუმროში და მეც ახლადე გამოვალ. — ქალბატონს შეატყობინეთ!.. შენ ჩემო იმერელო, მიდი მოურავთან, მოიცადე სანამ დი პასუსს მიწწრღე ჩემ სიძეს.. ეს ერასთავებიც უმიზეზოთ არ უნდა იყონ ჩემთან მოსულო!.. ჩიღლა-პარაკა თუისთვის და შეეედა ოთახში.

მთელი ოჯახი ეფხვდა დაღვა. ფარეშება ვარბი-გამორბოდენ აქეთ იქით; მხარეულეგმა ნებაერი წა-მოაქცეს: ხაზაზებმა თო რნეს ჩაუკიდეს; გადღები დატრაალდენ და შეექნა ერთი ალიაკითი. მოურავი დიღა გულმოდგინებით შეჭყეიროდა ხან ერთსა და ხან მეორეს. არიქა მიშველეთ!.. აბა, გარეკეთ! არ შემარკვინოთ... აბა, თქვენ იცითა და სხვანი, ამა-ეებს ძალიანი გულ-მოდგინებით იძახოდენ, მაგრამ თეთიონ კი ერთ ალაგას იღვა და არ ინძრეოდა არც ის იცოდა, ვის რა უნდა გავეკეთებო და ვინ რა საქმეზე მიღიოდა... ის მხოლოთ ისე, როგორც მოურავის რიგი და წესი მოდთხოვდა, ისე იჩარჩებოდა რომ მისი ყიჭინი გავგანათ და ერთგულეგმა ჩამო-ერთმითა. ცხტერიზი მოახლავდეს, ქათმები ააკრიახეს, ბატ-ინდოური მოირეკეს. იყო ერთი ფეცა-ფუცი და შხადებმა. მოურავი ხან იმას დაუხედეგბოდა წინ და ხან აშას. შინჯავდა საკლეებს, სიმსუქნე ხომ არ აკლიათო და ოფლს იწურავდა.

ამ ღრის ერისთავები: სტუმრები და მასპინძელი სამივე ერთთ იჯდენ სასტუმრო ოთახში ტახტელ ეფხ-მოთხონით და გაცხარებული საუბარი ჰქონდათ. ერთი მათგანი ახოვანი მოხუცებული ვარუ-მეხული იყო და თავის ქნეით ეთანხმებოდა ახალ-გაზდა კაცს, გაცხარებით მო აპაპაკეს.

— შალვა ჯერ ყმაწვილია და გულის აუყო-ლობა მაგისტვის ძნელია, ჩემი სიძე ბიძინაც არ არი დიდი ხნის.. მასთანაც ყოველ ღღე უყურებს თავის თვალით ქვეყნის უმედულეგებას და თეთიონაც თავს იმეტებს. მაგრამ, შენი კი მიკეირს, ჩემო ელიზბარ — მიუბრუნდა მოხუცს შალ — ლხინი ბეერი გინახავს და ქ-რი კიდევ მეტი აგტანია!.. მაღლობა ღმერთს, გამოც-დღებმა არ გაკლია და როგორ გაივლეთ გუ-ნებამი მაგისტთანა ძნელი საქმე?

— რა ექნა, ჩემო შალვა? მეც ბეერი ეუორჩიე ამ ჩემ ძმისწულსა და შეიღობილს, მაგრამ რომ ეერა შეეეგონერა?..

დაუყინია: მარტო წავალო!.. და მასთანაც ღმე-რთთან სწორი ჯობს, მეც მიჯღება ტყუაში ამ ყმა-წვილებს განწაბნა!.. ამისთანა სიცოცხლეს სიკდილი-ლი გობია! საქრისტიანო უნდა იმზობადეს და ჩვენ აქ უნდა იხსნდეთ გულ-ხელ დაკრეფილი? — უჯაგე-ბოთ ეერას მიხმენ, ვინღ, შემებან ხმელთა სპანიო!.. ჩენც მიეინდოთ განეგებას.

— კი, მაგრამ განგებას უნდა დავცადოთ... დღეს ასეა, ხვალ ისე იქნება; აი, გუშინ რა ადარი იყო და დღეს რა დარია? — დროსაც შერჩევა უნდა.

— უკეთეს დროს ჩვენ ვეღარ ჩაივადებთ ხელში — წამოიძახა ცხარეთ შალვამ. — კახელების გულის გატება ქართლსაც გადაედება... ჯერ კიდევ სანამ სასოება არ წავეთთათ და კიდევ რაღაც იმიდი აქვსთ კახელებს, ჩვენც უნდა მივეშველოთ!.. თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვანად მიიწვადივით იმედი: „ჭკობის სისკობელსა ნამარხსა სიყვედლი სახელოვანიო!“

— დახ, კარგი კაცის ნათქვამია ევ სიტყვები, მაგრამ არც იმას უმოძღვრებია ცუდათ, ვინც თქვა: სიფრთხილეს თავი არა ტყივია.

კი მაგრამ ხანდახან სიფრთხილე — სიფთხის განაყოფია.

— ჩაილაპარაკა ღიმილით ელიზბარმა — და სიამოვნებით შეხედა შალვას. ავუღიანებ? თქვა წყენით ზაალმა. — თქვენ შეგიძლიათ თქვენი თავი გაწიროთ, მაგრამ ქვეყანას რას ერჩით? იმას აღარას კითხვამ?... ორი ათასი მხედარი იქ გაწყვიტოთ. — ჩავლათ! აქ ვინდა დავხვედროთ, როცა ვარისხებული ჩვენზე მოგვინ... მაგ ურჩობით მეფეს გავიწყობთ და მეტი არა გამოვარა... ჯერ ასეა, თუ ისე თავის წინდებულობით ბატონმა მეფემ ქართლი შეინახა. ყვენის გული მოგებული აქვს და ჩვენ რათ გაუხსნეთ მიხეზით, რომ ამდენი ხნის მცვალინობამ ჩალთ ჩაუაროს?

— ვაი ამისთანა ქვეყნის შენახვას!.. წამოიძახა ცხარეთ კიდევ შალვამ. კახეთი ვათათრდა: ქართლის მეფე, მირონ-ცხებული ვახტანგ — დაცვეთილ შახნავაზად გადაიქცა... სამოც ქალ-ვაჟს გარდა დღეს კიდევ ორი იმდენს ვაგზავნით ხარკათ ყოველ წლებით... ქვეყანა გოვდებით აივსო — მეტი უბედურება რაღა დაადგება ქვეყანას. — დღეს თუ ხვალ ქართლიც აღარ იქნება, ისიც კახეთით აობრდება. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ კახელებმა სახელი მიიწვადი ნახეს, ხორცი გასწირეს და სული ვადაიჩინეს და ჩვენ კი სულსაც ეწყმენდათ!..

— მართალია — დამატა ელიზბარმა — „მტერი მოყრულოთ მოსული მტერზედაც უარსიო! — შახნავაზის მელა-კულდა პირველი არ არის... მანამდი ფერება შახნავაზს, სანამ ესაჭიროება და მერე კი უკუ ავდებს! — უნდა, რომ ჯერ კახეთი ჩაჰყოლოს ხელ შეუშლოთ და მერე ქართლსაც მოწოდება... მტერი პირდაპირი ისე საშინო არ არის, როგორც მოყრულოთ შინ მელასავთ შემოპარული.

— კეშიპირით მაკვირებს თქვენი განზრახვა!.. მე ჩემი მზრთ ვერცარას გავებედე და უარს შეუთელი იმ ჩემ სიძეს და თქვენ კი ღმერთმა ხელი მოკიპართოსთ. არ იწართ ბოლოს კი!.. დიდხანს

გატანა მათმა საუბარმა. შალვა ცხარობდა, ზაალი მოთმინებიდან გამოდროდა და ელიზბარი იმ ცეცხლ-შუა იყო, ორივე მხარეს ავანგროვებდა რაც კი მოხერხდებოდა — ბოლოს იქამდე მიდგა საქმე, რომ ქსნის ერისთავები უსადილოთ აპირობდნ წასვლას... უკმაყოფილოთ წამადღენ ზეზე, მაგრამ კარი გაილა და შემოვიდა მარიამი. ხელში წმინდა გიორგის ხატი ეჭირა. ღმერთმა კეთილათ დაავიგვიგინოს ევ თქვენი ქრისტიანული განზრახვა და ეს იყოს თქვენი წინამძღოლი — დაუსწებო ხატ. სამივე ზეზე წამადღენ ვაკვირებულნი. ჩემო ბატონო, მიუბრუნდა ქმარს — ქვეყნის გონება ცამდინაც რომ უწევდეს, მიიწვად ვერ მიწევდება ღვთის განგებას!.. ნუ ეწინააღმდეგები და ეურჩები ამათ სურვილს, რომელიც იქ თურმე ცაში დასკენიდა და აქ მხოლოდ საგულისხმოთ ვადმოტანილი... შემოვიდა მამაო და ამხილოვ...“ გასახსა მარიამმა. შემოვიდა კირილე და გაჩერდა. ერისთავები ერთმანეთს შეჩერებოდნ, თითქო ეკითხებოდნ: რა ამბავია? „აჰ, მამაო რას იტყვი? განაჯრძო მარიამმა — ეგენი ვახლავან, შენი ჭირიმე. ვიცანი!..

— მივდელიო, რა დავიჯინია. ვიცანიო — ეს მეორეთ ამბობთ... რა ექნათ მეგრ რომ იცანო... გამოცანა ვერგება თუ? ჭკობთა გულ-მოსულმა ზაალმა.

— აკი, მოგახსენეთ, ბატონო, ისინი არიან მეტი!..

— ხომ არ ვაღარეულხარ!.. — მეც ვიცი, ვინც ბძანდებთან.


— არა, ბატონო, მე ხომ მაგას არ მოგახსენებ... — რა დავემართა? როგორ ვერ ვაივებ? სიზმარში რომ ნახა, ვაწყვეტია მარიამმა.

— სიზ... მარ... ში — გოაცებით იკითხა ერისთავმა და კარი გალო.

— დახ! ჩემო ბატონო! — თქვა კირილემ მოჰყვა თავიდან სიზმარს... ერისთავები გოაცებით უკედებდნ ყურს, როცა მივიდა კირილე იმ ავღლამან, სადაც საყდარში შესულმა გმირებთ დაბოკოლი ნახა, ზაალმა უტებათ ვაწყვეტია სიტყვა: მესამე? მე-სამე ვინ იყო? ვეღარ იცანი... — ახლა, ესენი რომ ენახე, ისიც მომავონდა... თქვენი სიძე ვახლდათ, სწორეთ ის იყო!..

— ბიძინა ჩოლაყაშვილი? მე ხომ არ გინახებთ?

— არა, შენი ჭირიმე, თქვენ იქ არ ბრძანებულხართ. და ის უტნო მხედარიც ეს იქნებოდა — მიამერა ხელი მარიამმა წმინდა გიორგის — გწყალობდესთ და გიწინამძღვროსთ!.. ერისთავები გაქვევბულსავეთ იღვენ საგონებელში ჩაჯარდნილი და ხმას ვეღარ იღებდნ. ბოლოს ელიზბარი მოუბრუნდა ზაალს: ახლა რაღას იტყვი?



ღვთის მონასტრის სმლოცველა.



საქართველოს სსსს.

— იყავ ნება უფლისა, რაღა მეთქმის... აქ წინ-
დაწინე საწაწაულსა ვეღუდეთ... თქვე სამიჯა კმარ-
ხართ! ხან ხედავთ, მე ნამეტანი ყოფილეთარ... მე მე-
ფის უჩი ვერ ვაგუდებნი... მაგრამ თუ კირილემ მო-
ძღვრის შეგონებით ჩემ საყმოდან წამოგვეყვებთ ენი-
მე, არ დაუშლი, მით უფრო რომ მე არა ვიკარ-რ —
გაიკინა და ჩაილაპარაკა — მამო კირილე იმედია,
შენ თუ შეაგონებ, და ჯერით ხელში წინ წაუძღვებნი,
წაგვეყვებნი. ღმერთო შენით!.. თქვა კირილემ, გამო-
ისახა პირვეარი და ემთხვია ხატს! ამინ გაიმეორეს
ერისთავენი და ემთხვიენ ისინიც... მეერ დაწმდენ და
შეუდგენ თათბირს. მოლაპარაკების დრო დაწმდენს,
მაგრამ ვაფთხილეს კი ერთმანეთი, რომ ეს საქმე
საიდუმლოთ ყოფილიყო. სპარსელების სახელიც არ
უნდა ხსენებულიყო და მიზეზთა იმერლები გამოეყო-

ნებათ, რადგანაც ისინიც იმ დროს დაღიანებენ ეპირ-
ზოლენ ვალაშკარებს. სიზრმით გამწვანებულსა და
დაიმედებულ ერისთავეებს სიხარულს საზღვარი აღარ
ჰქონდა. გაიმართა ლანი, როგორც არაგვის, ისე
ქსნის ერისთავეების საკადრისი. მისი გადახრამდი შე-
ეკცენ და მერე გაუღვენ გზას. მეორე ღღეს იმერ-
ელმაც ჩაიღდა უბნში დადასტურდა წერილი ჩოლაყა-
შვილთან გაქანებული, ვაკურევა თაყის ახალი ბე-
დალური „არაბულა“ და იმ გზითვე წავიდა, რა გზი-
თაც მოდიოდა. მოუარევი შეჩერებოდა გამოღმდენ
და გულზე მუქს ირტყამდა. ვაი, შენს ტყავს!.. ბა-
ტონს იმისთანა ბედალური გამოლალა მის ვახრკვილ-
ზახში და მე ზედაც აღარ შემომხედლა — წუწუნებდა
გულ დაწყვეტილი და აქეთ-იქით აქნედა თავს.

აკეთ

(მემდეგი იქნება)

ღვიმის მიწანსტრის სამლოცველო

(ვეფრიდას ხეობა)



ღვიმის ტაძრის დასავლით გამოქვაბულია კლდე-
ში სამლოცველო, რომელსაც აღმოსავლეთის
კედელი, ჩუქურთმით ნაკთები, მიწმენბუ-
ლი აქვს. ამ მხარეს ხუთ-კუთხი სახე აქვს და თავ-
ზე ადგას ქვის გამოქანდაკებული ერძის თავი. ეს შე-
ნობა ბევრათ მიემზავსება ძველ კერპთაყენის-მცე-
მლობის დროს რომ სამსხვერპლოებს აგებდენ, იმას

ფრიალ საქირთა საქართველოს ხუროთ-მოძღვ-
რების ისტორიისათვის ამ პაწაა შენობის შესწავლა.
სამხრეთით შემდეგ მიუშენებიათ, შეიძლება მიჩენი-
დმეტე, ან მეთვრამეტე საუკუნის ვასულს, სადგამი
მწირისა, რომლიდანაც შესასვლელი კარა გამოქ-
რილი სამსხვერპლო შენობაში. თვითონ სამ-
სხვერპლო, ანუ სამლოცველო ბევრათ აღ-
რინდელი აგებული უნდა იყოს, ვიღერ ღვიმის
ტაძარი.

გ. წართუღა

კაცხის სვეტი



მტრთ ქვეყნის საკირველებათაგანს წარმოადგენს
კაცხის სვეტი, რომელიც ბუნებით კლდეა,
სვეტათ აყვანილი. სიმაღლე ამ სვეტისა უნ-
და იყოს არა ნაკლებ ოცი საყინისა. სვეტის
თავზე მოჩანს ეკლესიის ნანგრევი. ყველაზე უფ-
რო ვასაკირველი ის არის, რომ რა ნაირათ აშე-
ნდა ამ სვეტის თავზე ეს საკირველი შენობის ნა-
ნგრევი. ვინ აიტანა იქ საშენებელი მასალა, როცა
ასავალი სვეტს არსაიდან უჩანს? აღგილობრივი მე-
ბატონეები ამბობენ, ვითომ იმ სვეტიდან ჩამოვარ-
დნილიყოს რამდენიმე ვეცხლის ნივთები. ზეპირ-
გადმოცემა კაცხის მტკიცებობა მოაგვითხრობს, ვი-

თომც ამ სვეტზე გეიტარებინოს თავის უკანასკნელი
ღღეები სვიმეონ მესვეტეს. ღღემდის ხალხში დარ-
ჩენილა ამბათ, ვითომც ორი კაკი შესულიყოს ამ
სვეტის თავზე და იქ სვიმეონ მესვეტის ხატი ენა-
ხოსთ. იმათ აღთქვეს, ავის ეფთხრათ ეს ამბავი.
როცა ჩამოსულან, გაუმხელიათ და ამის გა-
მო კიდევ დაბრძავებულან. მიუცილებლათ ოდენ-
სმე უნდა ყოფილიყო ამ სვეტზე ასასვლელი კიბე,
რომელიც ალბათ ჩამოქცეულა. აღგილობრივი მტკი-
ერებნი ვღებნი, მოაღბაძენ, ამტკიცებენ, ვითომც
იმათ ეკლესიაში დასვენებული სვიმეონ მესვეტის ხა-
ტი იმ სვეტადან იყოს ჩამოსვენებული. სვეტის ძი-
რში ბევრი ძველებური ნანგრევებია და ერთიც ეკ-
ლესია არის თავისი სამრკელოთი.

გ. წართუღა

იმერეთის თავად-ამხაურთა კრება გამბრიელ ეპის-
კოსის შესახებ.



უთხასია, ამ წლის აგისტოს ქუთაისის თა-
ვად-ახაურობის წინამძღოლმა მოუწოდა
კრებას თავად-ახაურობის წარმომადგენელთა

მოსალაპარაკებლათ შესახებ ყოვლად სამღვდელოს
იმერეთის ეპისკოპოსის ვაბრიელის იუბილეში მო-
ნაწილეობის მიღებაზე. მაგრამ რადგან იუბილეს
დღესასწაულობა ჯერ ნება-დართული არ იყო და
თვით ყოვლათ სამღვდლო უცრათ მიძიმე ავთიმყო-
ფი შეიქნა, ამ გარამობამ დიდათ დააფიქრა ქუთა-

ისის თავად-აზნაურობა მით უმეტეს, რომ, ვინცა-
ბა ყოვლად სამღვდელთს გაბრძოლს რამე გაჭირ-
ვებოდა, იმერეთის თავად-აზნაურობა ფიქრობდა უმა-
ღლესს მთავრობისთვის მიცხმენებანა, რომ იმერე-
თის საზოგადოების და სამღვდელთების წმინდა სუ-
რვილია, იმერეთის ეპარხიის გამგეთ დადგენილ იქმ-
ნანს რომელიმე ქართველი ეპისკოპოსთავანი, ან უმაღ-
ლეს სასულიერო სასწავლებელში კურსდასრუ-
ლებული ქართველი არხიმანდიტთავანი, რადგან
თვით იმერეთის ერის სასულიერო და სარწმუნოე-
ბრიყი მღვდმარობა ისეთია, რომ თუ არ ქართვე-
ლი მწყემსმთავარი, სხვა ტომის და უცხო ქვეყნისა

მის ზნეს, ჩვეულებას, ენას, ისტორიულ მოგონე-
ბას, ადგილ-მდებარეობას და მის მიერ ერთე-
ლვე შეთვისებულს ხასიათს იმერეთისას არ შეეფუ-
რება და ვერც შეთვისება. ჩვენ დარწმუნებული
ვართ, რომ უწმინდესი სინოდი და უმაღლესი მთა-
ვრობაც ასეთს გარემოებას იხელმძღვანელებს მომა-
ვლისთვის, რადგან თვით სულ-კურთხეულის იმპე-
რატორის ადვკანდრე პირველის უმაღლესი ბძანე-
ბაც ამას ამტკიცებს, რომ სანუგეშოთ იმერეთის ხა-
ლხის სარწმუნოებრიყი მღვდმარობასა იმერეთის
ეპარხიას ყოველთვის ქართველი მწყემს მთავარი უნ-
და განავებდესო.

კრწანისის ბრძოლა

(ასის წდას მოხსენების გამო)



ღმრთაღვლეთით მოაწეა
მტერი თვილისის მხარესა,
მის ნატურული დღასით მხეს,
ღამით აზნელებს მთავრესა.

აღა-მამად-ხანს ხაჭურისს,
ქრისტეს მტერს, სისხლის მწოველსა
ვინ კითხავს: „რათ მივიზარა?“
მუსრავს ქრისტანს ყოველსა!..

„ბატრა-კახი დაღონდა,
ქართველთა ზედი შედგება...
ფიქრობს: „ასს ერთი მტერს აღენს,
ათასს ვერ გაუშკალებდა...“

ჯარსა უბძანა: „ქართველნო,
ერთგულნო ძმანო, მამანო!
ათასი მოდის თითოზე,
მე დამაფიქრა ამანო...“

„ხედავ, ამათ დაზერება
თქვენი გმირული მკლავები...
არა მსურს, თქვენთა ნათესავთ
თქვენზე ჩავაცვა შევები.“

„თქვენს მეფეს არ სურს—იხილო!
სამშობლოს დამზობ-დაქცევა,
არცა შეეფეა ერეკლეს
ზურგის ჩვენება, გაქცევა!..“

„ამად ვირჩიე სიკედლიო!..
არ მსურს სიცოცხლე მომზრალი,
მტერთან ბრძოლაში მოეკლდები,
არ დაენებდები ცოცხალის!..“

ბძანა—და ჯარი აღელდა,
ხმალი იშვიგლა ყოველმა,

—ერეკლეს გაუქარჯოსო!..
მათ ბანი მისცა მთა-ველმა.

მყისვე შეჭძახეს ერთ ხმათა:
„დე, ჩვენზე ღებონ შევები!
ერეკლე მოკლეს, ჩვენ ზელშვით,
მხრებზე-ღა გვებას თავები?!“

„გაგვიძებ, მეფე! გვიჩვენე
ბანაკი წუნკალებსა;
ვაგემოთ მკლავთა სიმაგრე,
სიბასრე ჩვენის ხმელებისა!“

„უშენოთ, მეფე, არ გვინდა
სიცოცხლე,—გვექცეს მზგ-ბნელოთ..
ჩვენ გაეწყდეთ, შენ კი იცოცხლე
სამშობლოს საღიდებლოთ!“

მყისვე გაქუსლა ერეკლემ,
წინ შეეგება მტერებსა:
სპარსნი ურიცხენი ფიჩინენ
კრწანისის ველსა, სერებსა.

„შეიქნა ომი ფიცხლო,
ერეკლემ აღარ აცალა:
საცა მიუხტენ ვაჟკაცი
მტერმა ბანაკი დაცალა!“

გაბრზებულნი სისხლს ღეროან,
ცეცხლის დამთები ომი!
იბრძვის და იბრძვის ერეკლე,
გამშავებული ღომია!

იწევს და იწევს მტრისაკენ,
გზას იკაფავს ბასრითა.
ვინ დაუხედედა წინ მეფეს,
ან შეუტყვევ მას რითა?!“

გვერდით უღვანან ვაჟკაცი,
აზობენ მტრისა გუნდებსა,
მუსრავენ ერეკებიან,
ვით ქარი მტრედთა გუნდებსა.

დაწინაურდა ერეკლე,
გაცაცებული ბრძოლითა:
ვაჯკაცი უკან ჩამოაჩენ,
შემდგარი მტერთა სროლითა.

ქლევტენ და ქლევტენ ურჯულოს,
მეღვრებისა დგამენ გორებსა;
ღვრიან და ღვრიან მტრის სისხლსა
და აყენებენ შორებსა.

სციმენ, კეთენ და აზობენ;
მტერი თანდათან მრავლდება;
ხოცავენ, სრესენ მუსრავენ
და თითქოს სულ არ აკლდება..

მიმოიხედეს—ვერ ნახეს
ერეკლე მირონ-ცხებულო...
შეხედეს—შორს წინ იბრძოდა
პირქეში, გამეხებულო.

იბრძოდა: მის ხმლის ტრიალი
ცის ვლვა იყო მზარავი!
ათასი ირგვლივ ცხეია
უფალი იყო მფარავი!..

ვისაც დაკრავდა—აზობდა,
არც მტერს, არც თავსა შურავდა,
ქლევტდა, ხოცდა და მუსრავედა,
დახოცილთ სისხლში ცურავდა.

რა სცნეს სპარსელთა, ვინც იყო
ქართველი იგი მამაცი,
გამოაჩინეს ოციოდ
თათარი გმირი, ვაჯკაცი.

და უთხრეს: „ერეკლე ხანი
ან შეიპყარიტ ცოცხალთა,
ან მისი თავი მიართვიტ
წინაშე ყენის ფიციხლათო!..“

მიმართეს მეფეს ყიყინით:
„ერეკლე-ხანო. დაგერჩიო!
ცოცხლათ დაგენებდი! სიკვდილსა
ვინძლო სიცოცხლე არჩიო!“

მეფემ პასუხათ შევიკლა:
სანამ მწყალობენ ცანოა,
არ დაგენებდით! მობძანდით!
მე ვარ ერეკლე-ხანო!*

და მსწრაფლვე გულში წარმოსტკვა:
მწვიობით, ჩემო მამულო,
ამირანიეთ მტრებისგან
მარად შეგაქველ-დაბეულო!

შენს სიყვარულში მოვხუცდი,
სირცხილი არ მიჭამია,
და აწ სულიცა შეგწირო
დღეს ომში—ამის ქამია!*

შემოეხვიენ თათარნი,
მაგრამ ჯერ შორით დებთან;
ახლოს ვერ შედგენ მისელსა
გმირისა შიშით ნნდებან.

თვით შეუტია ერეკლემ
ერთს მათგანს უვაჯკაცსა,
უფელა ხმალი მზარ-ბეჭე,
გამოასალმა მყის მშესა.

მაშინ გაბრაზდენ თათრები,
შემოუტყეს ერთობით:
ხმლებით წედებან მეფესა,
თუმც ვერ შეიპყრეს შეპყრობით.

ამ ღროს მოციენდენ ქართველნი,
კიჟნი დასცეს, გმირული
და გამოსტაცეს მტერთ ხელში
ერეკლე თავ-განწირული!..

დაღამდა. ბრძოლა გათვდა.
ერეკლე მირონ-ცხებულო
დაღრეჯითა ღვას, ცრემლსა ღვრის,
თუმცა კი გამარჯვებული.

ვინ კითხავს: „რა გატირებსო!“
გარშემო იყურებან,
და რა ვერ ხედვენ ამხანავთ,
თვითცა ტირილით დნებან.
ქუთაისი, 1895 წ. ნკენსთავს 8—9. ს. ლოვანი

ბ-ნი იონა მეუნარგია და მისი დიძლომაქცია



მ დღეებში ერთმა რუსულმა გავითმა დასტამ-
ბა ცნობილი ბ. იონა მეუნარგის სტატია.
ეს არის დიპლომატიურ ნოტა, ანუ დისერ-
ტაცია საუმაღლესით უმდაბლესით დაწერილი....
სახეწარი. აეტრობი რჩევას გვაძლევს, რომ ბედნიე-
რი დღეები სწავა და სხვა საქართველო კუთხეების
რუსეთთან შეერთების ჯერისებერ კიდელსაწაულოთ.

კეთილი და პატიოსანი! ეს მოგონება ყველასათვის
საგულსხმობა და მისთანა მკითხველი არ იქნება,
რომ ეს კრიმინალური ვერ გაიგოს და გულში არ
თქვას: ჰაი გიდი, იონაო! და ჩვენც მეტი არა გვე-
თქმის რა, მაგრამ რაც შეეხება მის სტატიის მეორე
მხარეს, იმას კი ვერ დაუტოვებთ უყურადღებოთ.
ბ. იონა (ჩვენი იონა და არა ებრაელთა წინასწარ-
მეტყველი) სპარსების შამოსევის და თბილისის
აონ'ებმას საკუთრათ იმერლების მტრობა-დალატს

აწერს და ამბობს: ამითი საშვილიშვილო ჩირკი მოიკცეს იმერლებმა, ქართველებს ვეღარ შეურიგდებიან, შკოლაში ქართლელი ყმაწვილებიც კი ესაყვედურებთან იმერლებსა და სხვა და სხვანი. ამ გვარ საისტროა ცილისწამებას დალი და უტუჯური საბუთი ეჭირებდა და არა სოფლური უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა, რომელთაც ბ. მფურარეა ხელმძღვანელობს. მართალია, ავტო ას წელიწადი შეესრულა, რაც ეს ხმები დადის, მაგრამ არც ერთს შეგნებულს და წინდხედულს ჭეშმარიტებით არ მიუღია, თუ არ უმეტარსა და სხვის ფეხის აძყოებს. ამ ხმებს ავტოლებდენ თვით იმ ეკატორანების შვილები და შვილიშვილები, რომელთაც პირდაპირ მოლაღობა და მტკიცებულება, ავტოლებდენ იმ განზახებით, რომ ცოცხა თავიდან ავტოლებდენ იმერლებზე გადაბრალდებით. დღეს ისტორიულით გამოაშკარავდა და გათვალისწინებული გეგმაც მტუჯური და მართალი. აი, ვინ იყვენ მტუჯები: 1. ის, ვინც მაროწია აღა-მამად-ხანი საქართველოში და გზის მაჩუკათაც ასი ათასი მანათი გაუგზავნა. 2. ისინი, ვინც ცდილობდენ, რომ ათხრებულ საქართველოზე თავის საკუთარი სამეფო აეგათ. 3. ის, ვინც შორიდან აბრეყებდა რაივე მხარეს და მოსასრადნივით ფაქობდა: ვინც დაეცა, მე დამრჩება. და 4. ისინი, ვინც ფულს არიგებდენ მოლაღობების მოსასყიდათ. მოლაღობები ის დიდებული ქართველები იყვენ, რომელთაც ფული მიიღეს და გაჭირების დროს გაუღდენ მეფესა და საქართველოს.

ამ გვარი რამ არაფერი არ ჩაუდენიათ იმერლებს. პირი იქით მოემყვინნა სამთათსა კაცით და იმათან ბევრი აღარ დაბრუნებულა შინ. მართალია, დავით ბატონიშვილი ამბობს, რომ იმერლებმა გაიხსენეს ჩენი თავზე დასხმა სოლომონის გამეფების დროსა და სამაგიერო გადაგვიხადეს, მაგრამ ეს უსაფუძვლოა. არავის შეუძლია, მაგალითი გვიჩვენოს ისტორიაში, რომ იმერლები თავის შამქე ამერლებს, ანუ ქართველებს მტრულათ მოკიდებოდენ. საქართველოს გაყოფას შემდეგ მართალია ხანდახან ერთმანეთში მოუხდებოდით ხოლმე მტუჯება, მაგრამ ეს უნაღობათ უფრო მოყვრების მოსაზრებით და არა მტრულთი. მაშინ იმათ უკიდვრების ის პატრიოტული მოსაზრება ანელმძღვანელებდათ, რომ სამშო-სამოყვრით შეერთებულნი იყვენ. ასე მოხდა მაგალითათ მაგარტ ღიღის იმერეთის მეფის დროს: შემეფება კი პირ აქეთ არაოდეს არ დაუკლიათ.

განა ცოტა გაწყდა იმერელი ასპინძის იმში? კახტა ბელადის დამარცხება საკუთრათ იმერლების საქმე არ იყო? ვიმეორებთ, რომ მტრული ანგარიშით იმერეთს ამერეთის ტული არასოდეს არ განუზრახავს.

ირაკლიმ თავის სიცოცხლოვ ერთი შესწინაწივი შეცდომად ჩაიღინა-ეს მაშინ, როცა იმერლებმა თხოვეს შეგვიერთეთ, მაგრამ ირაკლიმ ძალდატანებით თავის შვილიშვილის სოლომონ მეორის დასკუბება

მოინდომა ტახტზე და ამერთა ჯარი იმერეთის ასაობრებლათ გაგზავნა. მაგრამ მაინც დღემდის დღი სიყვარული და პატივისცემა აქეთ ქართველებს. როგორც უფროს მოძმეებს, ამას მე გგონია დიდი და პატარა, შეგნებული და შეუგნებელი ყველა შინა და ხედავდეს და გრძობდეს, თუ ძულსთ, ძულსთ მწალობათ ქართლის მტერი და ორგული. ქუჩათ გაივს იმათ, ვისი ბრალიც იყო თბილისის ათხრება და იმ დღიდან კიდევ შეიძულეს ის ხალხი, მანამდის კი იმათათვე მეგობრებათ იყვენ. ამას გვიმტკიცებს მეფე სოლომონის მიწერ-მოწერა კათალიკოს ულკასთან. თბილისის ათხრების ამბავი მაინც და მარცხ შორეული არ არის. ჩვენ კიდევ მოესწრებოდით და გვიხახავს იმში დამსწრეები, სადაც ზოგის მამა მომეკლარა, ზოგის ძმა და ზოგის პაპა და ზოგი უთიანაც ყოფილა დაქალი. იმათი გადმონაცემი სასესიოთი თანახმება თავად ალექსანდრე ჯამბაჭურ ობიექლიანის ნათქვამს, რომელიც ამ დღეებში დაისტამბა. თავადი სვიმონ წერეთელი, მეფის მღვინეთ-უხუცესი, ერთი უკეთესი მეომარ-სარდალთაგანი იყო იმ იმში და, აი, რას ამბობდა: „მეფე სოლომონის პაპა მისის ირაკლის წერილი ებოძა, რომელთაც აცნობებდა, რომ ყიზილბაშები შემოსევას გვიპრობდენ და მოგვემცლიათ. იმავე დროს რევას ანდრონიკაშვილის კაცი მოუვიდა სახლთ-უხუცეს ზურაბ წერეთელს, მაგრამ რა ამბავი მოუტანა, ის კი საიდუმლოთ დარჩა. ეს რევას ანდრონიკაშვილი გიორგი ბატონიშვილის ცოლის ძმა იყო, ქართლ-კახეთში დიდი გავლენიანი კაცი და ზურაბ წერეთელთანაც დამოკიდებულების მექანე.“

დარბაზში ყველა იმ აზრის იყო, რომ იმერლები ოთხივე სასარლო ჯარებით დაუყონებლივ მიმეცლებოდენ მეფე ირაკლის, მხოლოთ ზურაბ სახუცესი იყო წინააღმდეგე და საუარყოფო საბუთებსაც ალექსანდრე. იმ დროს ზურაბი პირველი კაცი იყო და დიდი განმავლობაც ქონდა. ახალგაზდა მეფე თითქმის ხელში ეჭირა, და ვინ იქნა, როგორ გათავადებოდა საქმე, რომ ქაიხოსრო წერეთელს მისი წინააღმდეგობა არ დაეწყია და ზაქარია ანდრონიკაშვილის წიგნი არ წარმოედგინა. ეს ზაქარია მეფე სოლომონის მამინაცული იყო და ქაიხოსრო წერეთელს ეწერდა: მეფე ირაკლის მოლაღობები გამოუღდენ, აქ ხელს უშლიან და გააფთხილენ მეფე, რომ მადე ხელი არ მოაწვდინოდ და საქართველო არ დალუპონო. ამას შემდეგ სასწორმა ქაიხოსრო სარდლისებრ გადაძლია და დარბაზმა ერთ ხმათ გადაწყვიტა, რომ იმერეთი გალაშქრებულყო. ავიაშვილს, წულუტაძეს და მიქელაძეს შეეტყობინეს, რომ თავისი სასარლოთი მომეცლებოდენ, ჯარი უნდა გამოეყვანათ არა ნაყოფ ოკუ ათასისა და თითონ მეფე სამი ათასი საწრეთლო მეომრებით დაუყონებლათ გაეზგავრა ქართლისკენ. მეც რასაც ვიცრევილია, თან ვახლდი, ერთ დღესაც არ მიშორებდა და მხოლოთ მისმა ტრახაზონში მიცვალებამ საუკუნოთ დამაშორა. ქალაქში რომ ჩავედით, ხოჯახანი ქალაქზე მომდგარი იყო. პირველი ბრძო-

ლა ჩვენ, იმერლებმა, ვიტყვირეთ. ორი დღე ვიბრძოლეთ. გამოდნით ჩვენ ვიდგქით მალობზე და გლომით ყიზილბაშები. მათი რიცხვი უთვალავი იყო. ჩვენ კი მხოლოდ ორი ათასამდე იმერელი ვიყავით, რადგანაც ერთი წელი ჩვენგანი ქუშუბლა გურამიშვილს გაუგზავნეთ, ორასიოდდ თათარი და სხვა კანტაკუტებით ქართლელ-კახელები. ყვრა დღე იყო. მტერმა რომ გვიკოტავა, მოგვამათა, მაგრამ ჩვენ ბძანება გვეძინდა და ადვლოდნ არ დავმძრულოვართ. ჯერ თოფები მიგახალეთ და მერე ხმლით დავიწყეთ მოკვრება. შეიდჯერ გაგზარუნეთ, იმათ ახლოახალი ჯარები ენაცლებოდნ, ჩვენ კი ჯერ არ გვეჭირებოდა გამოხაცვლება. საოცარი გულდაშვებით იბრძოდნ ჩვენეი თათრები და ქართლ-კახელები; ჩვენები კი ჯიკივითა ხტოდნ და საფარ-ში აღარ დგებოდნ. ორჯელ-სამჯელ კიდევ გაპყენ და მიდიეს უკუკატუთ მტერს. რაქველი გოცირიძე, დათუნას სახლის შვილი, გაოტავა ბრძოლის სიმთვრალემ და მარტოთ-მარტო სერაძის ასევა გაქცულ თათრებს. ისინიკ მოუბრუნდნ და შემოკურეს ირგვლივ. საოცარი სანახავი იყო მისი თავგამოდება. შამოატრიალა ხმალი და ირგვლივ კალო ვიკეთა. იცოდა, რომ ვერ გავარჩობოდა, მაგრამ მიინც არ უნდოდა, რომ მთ ხელში თავი ჩაეგდო. ეს რომ დინახეს მისმა ამხანაგებმა, ახლ-გახლა იმერლებმა, გულმა აღარ მოუთმინათ და შეუტყეს; ერთი ასს ებრძოდა, მოკლეს გოცირიძე, ზედ სამსამდის ჩენებოც დააკედა, მაგრამ ზედ ყიზილბაშების ხოაკი დადგეს. მაშინ ბძანა მეფე ირაკლიმ: „აქქარდენ, საქმეს გამოფუტებენო“; მოავლო ბაირაღს ხელი და თითონ წაუძღვა ერთიანათ ჯარს. ახლ-გახლა შვილიშვილი ადგილზე დაჭრავა და მიბძანა, მეც არ მოეშორებოდი, მაგრამ ჩვენ მეფესაც გულმა აღარ მოუთმინა, მისაშურა ხმალ და ხმალ და ჩენც მიყვეით. დიდი მეფე სოლომანის ხლო-ბულს ბეგერი ლაშქრობა გამოიყოლია, ბეგერი ომში ეყოფილვარ, მაგრამ ამისთანა ბრძოლა არ აღ მი-ნახავს. თუ წინ ბნელი არ ვადაგვლობებოდა, შორს ვაურედლით მტრებს, გამარჯვება, მაინც, რასაკვირველია, ჩენი იყო. სიხარულს სახლვარი აღარ ქონდა. ბეგერი მოიკლა ჩენებო, საწვირთლო ახნაულიშვილები; დაჭირლებიც ბეგერი იყო, ჭირისულებმა წაუწინ დაწყეს, თავთავის მკვდრებს ტიროდნ და იმდენზე ვაგულსდენ, რომ ღამე თვადსხმას უპირობდენ: აღარც სარდლებსა ჰჯეროდთ და აღარც მეფის. მაშინ მეფე ირაკლიმ უთხრა ჩენ ბატონ მეფეს: ამელამ აქ ბრძოლა აღარ იქნება, აქ საჭირო აღარა ხართ, თქვენ წალთ, თბლისში მო-სიყვენ და ხელ რა შეგატყობინოთ, მზათ იყავით, მომეწყველოთ. შეგბრუნდით ქალაქში და მიგამახარობლით გამარჯვება. საკვირველია! ზო-

გიერთებს არ ეგაშინია, თურმე ლალატობას შედგომოდნ და დიდი ჩურჩული იყო. ჩვენ რას მიგხედებოდით! მეორე დღეს დილა აღდგ ამხარობთან ვიდგქით მზათ და ირაკლის ბძანებვას მოველოდით; ჩვენ გვიცინდა, რომ იქ ბრძოლა იყო და ჩვენ კი არას გვატყობინებდნ. უცბათ ვილა-ცივლაკვები შემოიჭრეს ქალაქში და ხმა დაქარხნა, რომ ირაკლი დამარცხდა და ყიზილბაშები ქალაქში შემოდიანო. ამ დროს ამაშიდ და მისი ჯარი ზარბაზნებთან ტრავებული რამ იყვენ, დიდი შეწუხებული მოვიდნ და გვითხრეს: „ქართლები გაწყენ, ზარბაზნები წავგართვეს, დიდ ძალი ჯარი მოგაწევა, თავს უშველეთ. ვისაც შეგძობიათო“. მაშინ ბძანა მეფე სოლომონმა: „ღმერთო ჩემო! რა მიზნია, რომ ჩემი დაბარებული ჯარი აძენ ხანს არხად ჩანსო? მაშინ შემიძლება, რომ მე დახვედროდი ჩემის იმერლებით ხოჯა-ხანს, გინდ მთელი თერხანი ჩემზე მოეჩვენო! მაგრამ ახლა რალა ექნა, ერთი მუტა ჯარი, როცა აქაურბოა მოლაღობებით ყოფილა სავსეო! ტირი-ლი დაწყო და დავპარეთ დაბრუნება იმერთისაკენ. მერე კი გავიგეთ, თუ რა მიზნით არ მოგვემე-დნენ იმერთიდან დაბარებული სასარკველები, მაგრამ რალა დროს? ღმერთმა ჰკითხოს მოლაღობეს! ბრძოლის დროს ორი დღე ჩვენს პირში არა ჩასულა რა. ქალაქში რომ შეგბრუნდით მშინებო, ქალაქის მედიქს, თუმცა ნაბძანებო ქონდა, მაგრამ არა-ღმერთი არა დამეზადებოდა ჩენთვის. ზოგიერთი უცხო-ვაჭრები სულ სხვა გუნებავ იყენ, სულ სხვა რამეს ელოდნ. ცხალია, რომ ისინიც ირაკლის წინააღმდეგ შეთქმულებში ვრიენ. თან ექვეყნის უხედურება გე-წუხებდა და თან შიმშილი გვაშარებდა. უსახლოთ იმერთთანდი რალა მიგაწყვეინებდა. ხეწონა-ველიბა რომ არ გავგივოდა, დავეჩეთ იმ სასიკვდილო ვაჭრებს და რამდენიმე დუქანი გავყარეთ, გავიტენთ პურ-დვინით ხვირვინები და ისე გამოვედით ქალაქიდან. გარდა საქმელ სასლისა, არაფრ-სათვის არაივის ჩვენ-განს ხელი არ უნლია, მაგრამ ამაზედაც დიდათ გა-გვირისხნდა ბატონი მეფე სოლომონი. გულ-დაღა-დარული, თვალ-ცრემლიანი მივიდიოდი, რომ საცა-დამით უკან ელარ მოგვეგუნდა. დიდმის მინდორ-ში შევისვენეთ, მაგრამ ის შესვენება კი არ იყო, ჯოჯოხეთი იყო. მეფე მოთქმით ტიროდა და ჩვენ გულ-ამოხდარი თაგზე ვადგქით. ასე ვათვდა ეს უხედური ხოჯახნობა, კარგი მახარობელი ვერ ჩამო-უყვდიოთ იმერლებს. მკდრებით დაუმარხავი აქვე დავ-ვრჩენ, მაგრამ ნუგეშთი მს გველე ვაგულში, რომ ოდესმე სამავგიო ვადავებხდა და როდესაც ერთ-ხელ კიდევ მოვიდა ამზავი იმერთში, ხოჯა-ხანი ხელ-მეორეთ აპირობს შემოსევსო, იმერთი დდგა ფხზე და დიდიან-ბატრიაიანა, ყველა ემხადებოდა საომრათ წასვლას, მაგრამ ღმერთმა სხვებს ინება და დღე დაუმოკლა ხოჯა-ხანს“.

ავტ.

† ფრიდრიხ-ენგელსი.

შემაჯავი *)



ოცა დიდმა რევოლუციამ საფრანგეთში და-
ამყარა პოლიტიკური თავისუფლება, საზო-
გადო მოღვაწეებმა გამოაცხადეს: აი, ეს არის,
მოვიდა ბატონი პროგრესი და ქვეყანაზე ზედნიერე-
ბა მყარდება. ბურჟუაზია გაძლიერებული პოლი-
ტიკურათ, გაძლიერდა ეკონომიკურათ, გაფართოვდა
მრეწველობა, განვითარდა მუშა ხალხი და მასთან
ერთათ გამოწვედა ამ ორ კლასთა შორის განხეთქი-
ლება. გამოჩნდა, რომ ზედნიერება კი არა, სილა-
ჩიბე და მწუხარება მატულობს. გამოდიან სხვა-და-
სხვა რეფორმატორები, იკვლევენ ახალ საშუალებას
ამ წყულის მოსარჩენათ (სენ-სიმონი, ფურიე, პრუ-
დონი, ლუბილანი და სხ.) ყველა ესენი ერთ საე-
რთო ნიადაგზე დგანან: ბურჟუაზიის და მუშა ხალ-
ხის ინტერესი მოვარგათ, ერთათ მოვითავსათო.
1831 წ. ლიონში აჯანყდა პროლეტარიი და სა-
ქმით დაამტკიცა, რომ ეს მორიგება შეუძლებელია.
ეს მოვლენა რჩება აუხსნელათ, შეუძნელებათ. ამნა-
ირათ საფრანგეთის მუშა ხალხი იბრძვის თავის ინ-
ტერესებისათვის. ეს ინტერესები პირდაპირ ეწინაა-
ღმდეგებიან ბურჟუაზიის ინტერესებს. მიუხედავთ
ამისა რეფორმატორთ, პროლეტარიის დაძვრულთ
სურთ ეს ინტერესები ერთათ მოათავსონ. სად არის
აქედან ხსნას? ამ წრეში ტრიალებდა საფრან-
გეთის რევოლუციური მოძრაობა ამ საუკუნის
პირველ ნახევარში.

ამ გვართ გერმანიაში გაკეთდა პოლიტიკური
კენახი, საფრანგეთში კი სოციალური. რანიართ
უნდა გაისწას ეს? პოლიტიკური კითხვა იქ, სოცია-
ლური კითხვა აქ. რა ნაირათ უნდა გადაიჭრას? ამის
გადაწყვეტილ არ იყო არც საფრანგეთის და არც
გერმანიის ინტელიგენციაში. ამ ნაირია ის საისტო-
რია პრობლემა, რომელსაც შეასკდა ორივე ქვე-
ყნის რევოლუციური ძალა. მამ არ გახსნილა ეს
კენახი? დიან, გაისხნა და სამავალითათ გაისხნა.
ამის გასაგებათ ცოტა უკან დევნიოთო.

როგორც კი ენგელსი გერმანიიდან გამოვიდა,
მამინე შეველიანების ნაწერების შესწავლას შეუდგა.
რევოლუციური მიდრეკილებით ფრანგი, ფილო-
სოფიური შეხედულებით — გერმანელი — ერთი სი-
ტყვით მზადდებოდა ინტელიგენციის კანდიდატო,

უნდა შექმნილიყო მემარცხენე ჰეგელიანელი. ამ
დროს დატრიალდა ერთი საყურადღებო გარე-
მოება. ენგელსის მამა გაუფანავდა მანესტერის
ფაბრიკანტს და შეიღის იქ გაგზავნა საკირა შეი-
ქნა. 1842 წ. ფრიდრიხი გაემგზავრა ინგლისში და
დაჰყო იქ ორი წელი. ეს გრძნობით ფრანგი, გო-
ნებით გერმანელი მოვიდა კაპიტალების ქვეყანაში.
მან აქ გაიცნო ბურჟუაზიის და მუშა-ხალხის მდგო-
მარეობა, გაიგო თუ რა ორში ამოხრილა მათ
შორის. ამასთანავე დაუახლოვდა მამინდელ მუშა-
ხალხის პოლიტიკურ მოძრაობას (ჩარტისტებს) და
გაიგო, რომ ეს საკოდავი კი არა, უღიდესი რევო-
ლუციური ძალა ყოფილა. მან აქ შეუდგა მუშა-
ხალხის მდგომარეობის შესწავლას და დასტამბა ერ-
თი შესანიშნავი წიგნი „Die Lage der arbeiten-
den Keassen in England“ *). ეს შრომა წა-
რმადაგვეს უღიდეს მეცნიერულ განმს, რაც აღსა-
ჩებელია ყველა მისი მოწინააღმდეგებისაგან (მაგ.
ის „Kölnische Zeitung“). სანამ ეს თხზულება და-
ისტამბებოდა, მან მოათავსა ერთი სტატია პოლიტი-
კურ ეკონომიის შესახებ პარიკის „ფრანგ-გერმანულ-
მატრიანში“, რომლის რედაქტორი იყო კარლ-მარ-
ქსი, ამ პატარა წერილმა ის იმოქმედა მარქსზე,
რომ მამინე ახალგაზდა აეტორის ვაცნობა მოისუ-
რევა. მარქსი მამინე მიხედა, თუ რა შესანიშნავი
ნიკის პატრონი უნდა იყოს აეტორი. 23 წლის ენ-
გელსმა აქ სრულებით ახალი მეთოდი შემოიტანა.
ამის დაფასება შესაძლებელია მხოლოთ მამინე, რო-
ცა წარმოვიდგენთ იმ დროს რეფორმატორთა ნა-
წერებს. ესენი დაფუძნებული იყენ არა ფაქტების,
ეკონომიური ცხოვრების მიუდგომლათ გამოკლე-
ვაზე, არამედ აეტორთ საკუთარ იდეალზე. რამდენი
იდეალია, იმდენი ცხოვრება, თუ შეიძლება ასე
ითქვას: ეინც უფრო კარგ პროგრესის ფორმულას
გამოგონებდა, მით უფრო კარგათ გადაიჭრებოდა
სოციალური კითხვა. ესენი ვადიქტენ მარქსის სო-
ცუვით რომ ეთქვათ, პროგრესის ფორმულის მაძი-
ებელი. ენგელსმა პირველათვე ფარჰყო ეს გზა. პრო-
ლეტარიის განმათავისუფლებელი საშუალება უნდა
ეცხით, არა; პროკრამების და ფორმულების შედგე-
ნაში არამეთ თეთით ეკონომიურ პარამებშიო. ეს არის
წერილის ახალი მეთოდი, მარქს და ენგელს შორის
დაწყო მიწერ-მოწერა. 1844 წ. ენგელსი ჩამოვიდა
პარიკში და პირადათ გაიცნო მარქსი. აი, აქედან
იწყება ის შესანიშნავი მეგობრობა, რაც ასე იშ-
ვითა პოლიტიკასთ, მწერალთ და მოღვაწეთა შო-

*) ის. „ველი“ № 39.

*) „მუშა-ხალხის მდგომარეობა ინგლისში“ 1845 წელს.

რის. ამ ორ მგობართა აზრთა შორის ისეთი თანხმობა აღმოჩნდა, რომ მაშინვე ერთად დაწერეს ერთი წიგნი, სადაც პირველად აუწყეს ქვეყანას დღაღეტეუკური მატერიალიზმი. აი, წიგნის სათაური

„Die heilige Familie, oder kritik der kritischen kritik gegen Bruno Bauer und consorten“ *

როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორნი ამხედრდნენ ბრუნო ბაუერის და მის თანამაზრეთა წინააღმდეგ. ამათვის ინტელიგენცია, კრიტიკული მოაზრენი, წარმოადგენენ დემოკრატ, პატარა ღმერთებს, რომელნიც მოწოდებულნი არიან ცხოვრების საწინააღმდეგოთ. ესენი ახდენენ ღრმა ცვლილებას ცხოვრებაში. ამიტომ დაისკვნა ზევით მოხსენებული პოლიტიკური კვანძი გერმანიაში. ეს კვანძი უნდა გაიხსნას ახლა, აი, ამ თხზულების დედა აზრი: ეკონომიური პირობები წარმოადგენენ იმ დედა-ბოძს რომელზედაც შენდება პოლიტიკური და იურიდიული წყობილება; ყოველგან და ყოველთვის პოლიტიკური ცვლილება თავის მიზეზს და ახსნას პოულობს არა „კრიტიკულ კრიტიკაში“, არამედ ეკონომიურ პირობებში, ადამიანის სოციალური მდგომარეობა დამოკიდებულია არა მისი შეგნებისაგან, წინააღმდეგ, თვითონ შეგნებაა სოციალური მდგომარეობისაგან დამოკიდებული. „იდუა არის მხოლოდ მატერიალური ელემენტი ვადატანილი ადამიანის გონებაში“. ჯერ უნდა შეიცვალოს მატერიალური პირობები, ეკონომიური საფუძველი, რომ მოხდეს ცვლილება მაღლა, პოლიტიკურ სფერაში. იქ სადაც წარმოება ფეოდალურია წყობილებაც ფეოდალურია, სადაც წარმოება ბურჟუაზიულია, იქ პოლიტიკური და იურიდიული წყობილებაც ბურჟუაზიულია. მაგრამ სანამ პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვლებოდეს, მანამდე ნელ-ნელა, თანდათან იცვლება ეკონომიური მდგომარეობა. ასეთ მოძრაობის დროს ახალი შინა-არსი და ძველი ფორმა ერთმანეთს ეჯახება და ინგრევა უკანასკნელი. ამისათვის პრუსიის წყობილების შემცვლელია ზოგა ხალხი და ბურჟუაზია ** და

არა ინტელიგენცია. ამ წიგნმა მოახდინა მთელი რევოლუცია მეცნიერებაში, შემარცხენ ჰეგელიანები აღმფრთვდნენ, ავტორთ დაწამეს რეპუტაციონერობა, უტოპისტობა, და ათასი სხვა. მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა. ეს დამტკიცდა 1848—49 წ. ამით გაიხსნა პოლიტიკური კვანძი.

(შემდეგ ექნება)

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის ჟურნალის საშუალებით უგულუთადღეს მადლობა გამოუცხადო ქან მ. შარაშიძისას და ე. წულაძისას და ბ.ბ. ე. და შარაშიძეს, ბ. ს. დლოძის და აბ. წულაძეს, რომლებმაც დიდი ყურადღება და პატივისცემა დამსახურეს საზოგადოების თვალში, მით რომ მათ წარმოადგენა გამართეს დაბა ხიდისთავში ახლათ დარსებული ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. წარმოადგენამ კარგათ ჩაიარა, დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო; ფული შემოვიდა 48 მანეთი, რალაც 2 მან. ხარჯში წავიდა. წმინდა შემოსავალი 46 მანეთი ბიბლიოთეკას გადაეცა.

ბიბლიოთეკის დაბარსებულთაგანი გოგოლი ზურუაინის

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წიკოილისა.

განცხადებანი

ე ქ ი მ ი

ი. ს. ელიაშვილი

გადუყდა ნიკოლაევის ქუჩაზე ზოპოვის სახლებში № 29, სასტუმრო „იტალიის“ ზირღაზირ, ავთუმოფებს მიიღებს კვლავინდებურათ.

გამოვიდა თავართქილბაძის მიერ გამოცემულ შემდეგი წიგნები:

- „სახელმძღვანელო უზბენიშვილის“
- „ახ-ზინისის ობი“
- „არაკები და ზღაპრები“
- „მოღალატე მძა“
- „კარგარტა გოტიე“
- „კატონისა ბატონიშვილი“

* „წმინდა ოჯახი ან კრიტიკ კრიტიკული კრიტიკისა ბრუნო ბაუერის და მათას სწორთა წინააღმდეგ“.

** იხ. ამის შესახებ ცოტა უფრო ვრცელთ „კვლევი“ № 32.